უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

20/17 წ. "21" 09

ქ.თბილისი

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №33 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №33 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

N	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამ განხორციელ ების მისამართ მისამართ
1	არქიტექტორ-ტექნიკოსი	მეოთხე	არქიტექტორ - ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	84	114	ქართული ენა	20	ქ. თბილის კოსტავა ქ. №68
2	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი (მოდიფიცირების შემდეგ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“)	მეოთხე	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის (მოდიფიცირების შემდეგ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	69	99	ქართული ენა	20	ქ. თბილის კოსტავა ქ. №68
3	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	მესამე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფესურის პროფესიული კვალიფიკაცია	78		ქართული ენა	20	ქ. თბილის კოსტავა ქ. №68
4	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	მეოთხე	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	114	144	ქართული ენა	10	ქ. თბილის კოსტავა ქ. №68

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
თუთა ნარმანია